12/12/2025

MES 8 25 0001778346

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.11.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 17:00 საათი
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - სხდომის თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;

4. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
9. **მაქსიმ იავიჩი -** შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
10. **ბონდო გასვიანი -** შპს საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუ-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
11. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე
12. **თამარ ზარანდია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
13. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
სოფიკო ქურასბედიანი **-** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ირმა შიოშვილი - რექტორის მოადგილე სასწავლო პროცესის მიმართულებით;
მანანა კევლიშვილი - "სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ ნადირაძე - "სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
მალხაზი სამადაშვილი - "სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;
სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მზია ღაღოლიშვილი - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
კახაბერ თავზარაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ვარდო კოპალეიშვილი - კავკასიის ტურიზმის სკოლის დეკანი;
თორნიკე ფურცელაძე - კავკასიის ტურიზმის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი;
თეიმურაზ ხუციშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ლევან წიქარიშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის თანახელმძღვანელი.

შპს ალტე უნივერსიტეტი
რამაზ კუკულაძე - უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
ირმა გრძელიძე - ვიცე - პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით;
ანი ამირანაშვილი - ვიცე-პრეზიდენტი მარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით;
თამარ მახარაძე - ვიცე - პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით;
ნინო ალავიძე - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ირმა ნოზაძე - პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი;
ლაშა მაჭარაშვილი - შეფასებების სამსახურის უფროსი;
სოფიო იდაძე - ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი;
დავით კიკვიძე - ბიზნესის სკოლის დეკანი;
მაია სიდამონიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
გიორგი ბერია - მედიცინის სკოლის დეკანი;
ზაზა ბერიშვილი - საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
გიგა თვაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი
ქეთევან ჯინჭარაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
რუსუდან ციციშვილი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის დეკანი;
მირიან ყენია - „მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

I საკითხი:
ა) ალა ალექსანიანი Alla Aleksanyan, (თავმჯდომარე);
ბ) ნინო ლომიძე (წევრი);
გ) ნინო ტალიკაძე (წევრი);
დ) ნათია მაღალაშვილი (წევრი).

II საკითხი
ია მოსაშვილი (თავმჯდომარე);
ნანი არაბული (წევრი).

III საკითხი
დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე);
რუსუდან სეთურიძე (წევრი).

IV საკითხი
ეკა დევიძე (თავმჯდომარე);
რუსუდან სეთურიძე (წევრი).

VI საკითხი
ელენე ასათიანი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა ქეთევან აფთარაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვ;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორცილებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორცილებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთა ნდაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორცილებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საქართველო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სატყეო საქმე;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სატყეო საქმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0821 სატყეო საქმე;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: ახალი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ თეა მჭედლურმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტი ამ ეტაპზე არ იყო შემოსული საბჭოს სხდომაზე და უმჯობესი იქნებოდა საბჭოს დაეწყო საკითხის განხილვა მის გარეშე, შემდეგ კი საერთაშორისო ექსპერტიც შემოუერთდებოდა სხდომას და დააფიქსირებდა თავის მოსაზრებას.
სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა მიმართა ადგილობრივ ექსპერტს წარმოედგინა დასკვნა. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ლომიძემ აღნიშნა, რომ განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამა ხუთი სტანდარტიდან 4 სტანდარტი შეფასდა როგორც, „შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. მისი თქმით გაცემული რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პროგრამის სტრუქტურას, კერძოდ ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო კომპონენტში გადატანას და სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების გადახედვას. ასევე დახვეწას საჭიროებს სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი, რის გამოც ლიტერატურასთან დაკავშირებული გასაუმჯობესებელი საკითხი ჩამოყალიბდა რჩევის სახით. ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან

დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მათ მაინც გასცეს შემდეგი რჩევა: "სასურველია, უნივერსიტეტის არსებული ერთიანი მექანიზმი სწავლის შედეგების შეფასებისთვის შემდგომში დაზუსტდეს სატყეო საქმის ბაკალავრიატის პროგრამისთვის სპეციფიური მოკლე დანართის ან სახელმძღვანელოს შემუშავების გზით. ეს დოკუმენტი შეიძლება დეტალურად განსაზღვრავდეს სიხშირეს, მეთოდებს და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყენება შეფასების პროცესში, რაც უზრუნველყოფს შედეგების სიცხადეს და თვალსაჩინოებას სამიზნე ნიშნულებთან მიმართებაში, და ამავე დროს შეინარჩუნებს შესაბამისობას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციონალურ ჩარჩოსთან".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ მოსაზრებები

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს და აღნიშნა, რომ განსახილველი პროგრამის ფუნქციონირება არის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და უნივერსიტეტმა ჩადო ძალიან დიდი შრომა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ეთანხმებიან ექსპერტების ყველა რეკომენდაციას, გარდა ერთისა, რომლის მიხედვითაც „რეკომენდებულია, რომ სატყეო მეურნეობის ბაკალავრის პროგრამისთვის შემუშავდეს ერთიანი დოკუმენტი, სახელწოდებით „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი", რომელიც განსაზღვრავს შეფასების სიხშირეს და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რათა შეფასდეს მიღებული შედეგები და შესაძლებელი იყოს მათი შედარება სამიზნე ნიშნულთან." მისი თქმით, დასკვნის პროექტის ნარატივში ვკითხულობთ შემდეგ ინფორმაციას: "პროგრამაში ჩამოყალიბებულია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე შეფასებას, შესაბამისი დარგისა და აკადემიური საფეხურისათვის ადაპტირებული როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. აღნიშნული მექანიზმები შესაძლებელს ხდის სტუდენტთა მიღწევების გაზომვას წინასწარ განსაზღვრულ საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით". დაწესებულების წარმომადგნელის თქმით, ამავდროულად, უნივერსიტეტში მოქმედებს ერთიანი მიდგომა და მექანიზმი სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებით, რომელიც გავრცელებულია ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე. მისი თქმით, ამგვარი ერთიანი მიდგომა მნიშვნელოვანია ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფისა და პროგრამებს შორის თანმიმდევრულობის შესანარჩუნებლად. ასევე, დაწესებულება ფიქრობს, რომ რეკომენდაციის მიზანი — სწავლის შედეგების გამჭვირვალე და შედარებადი შეფასება — სრულად მიიღწევა უნივერსიტეტის მოქმედი ერთიანი მექანიზმის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები არსებობის შემთხვევაში

საბჭოს წვერმა ნათია იორდანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მისი თქმით, რეკომენდაციაში ნახსენებია, რომ დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს შემდეგი სასწავლო კურსების შინაარსი, მიზნები და სწავლის შედეგები: საქართველოს სატყეო ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია; საქართველოს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია; სატყეო ენტომოლოგია; სატყეო ფიტოპათოლოგია, მისი თქმით აღნიშნულ სილაბუსებში აქცენტი გაკეთებულია აგრარული მიმართულებით მავნებლურ და არა ტყის შემქმნელი მერქნიანი სახეობების მავნებელ დაავადებებზე, რისი სწავლებაც მნიშვნელოვანია აღნიშნულ სასწავლო კურსებში. ის დაინტერესდა გეგმავს თუ არა დაწესებულება ამ მიმართულებით აღნიშნული სასწავლო კურსების გადახედვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მანამდე სანამ პროგრამა დაიწყებს ფუნქციონირებას სასწავლო კურსები აუცილებლად გადაიხედება. რაც შეეხება „სატყეო ენტომოლოგიის" სასწავლო კურსს, მისი თქმით აღნიშნულ კურსშიც ძირითადად აგრონომიის მიმართულებითაა განსაზღვრული გარკვეული საკითხები და ამასაც გადახედავს დაწესებულება.

საბჭოს წევრმა, ნათია იორდანიშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მისი თქმით, „საქართველოს ბიომრავალფეროვნებისა და კონსერვაციის“ სილაბუსის შინაარსში მოცემულია ტერმინი „ნატურა 2000 ჰაბიტატები“, მისი თქმით მნიშვნელოვანია რომ აღნიშნულ სილაბუსში გამოყენებულ იქნას თანამედროვე ტერმინოლოგია - „ზურმუხტის ქსელის ჰაბიტატები“, ან მითითება გაკეთდეს ბერნის (ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია) კონვენციაზე.
საბჭოს წევრი ნათია იორდანიშვილი ასევე დაინტერესდა რატომ გადაიტანეს ექსპერტებმა რჩევაში რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
ექსპერტმა, ნინო ლომიძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან პროგრამა არის ახალი, უნივერსიტეტს ვერ ექნებოდა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით სწავლის შედეგები შეფასებული. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნივერსიტეტს გააჩნია, თუმცა ეს არის სხვადასხვა დოკუმენტებში გაბნეული და არ აქვს ერთიანი სახე.
საბჭოს წევრმა ნათია იორდანიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ როგორც ზეპირ განხილვაზე გამოიკვეთა სასწავლო მასალის განახლებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, თუმცა წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნული საკითხი რეკომენდაციის სახით არის განსაზღვრული.
ექსპერტმა ნინო ლომიძემ განმარტა, რომ პირადად მისი მოსაზრება იყო ამ საკითხის რჩევის სახით ფორმულირება, თუმცა საბოლოოდ ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ რეკომენდაციად დარჩენილიყო. მისი თქმით, დაწესებულება მზადაა რიდერებისა და სალექციო მასალების სახით მიაწოდოს სტუდენტებს ახალი მასალა. ამასთან ვიზიტის დროს გაირკვა, რომ დაწესებულებას აქვს მოლაპარაკებები უცხოურ უნივერსიტეტებთან და აპირებენ გარკვეული მასალის თარგმნას.
საბჭოს სხდომას შემოუერთდა საერთაშორისო ექსპერტი ალა ალექსანიანი (Alla Aleksanyan).
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საერთაშორისო ექსპერტს მისი მოსაზრებების დაფიქსირება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ალა ალექსანიანმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა როგორც უნივერსიტეტმა, ისე მისმა პერსონალმა. რაც შეეხება ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, მისი მოსაზრებით აღნიშნული საკითხი დასკვნაში უნდა დარჩეს რეკომენდაციის სახით, ვინაიდან ლიტერატურა, რომელიც არის მოძველებული აუცილებლად უნდა განახლდეს.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა აღნიშნა, რომ საველე პრაქტიკის სილაბუსებში, შეფასების კომპონენტების აღწერის დროს, არის მცირე უზუსტობა, მაგალითად, პრაქტიკის ობიექტზე ყოველდღიური დასწრება ფასდება 20 ქულით და წერია 2-ჯერ 10 ქულა. მათემატიკურად ეს გულისხმობს, რომ ფასდება 2-ჯერ 10 ქულით, შესაბამისად უნდა ეწერო 10-ჯერ 2 ქულა. მისი თქმით, სასურველია ეს ნაწილი დაკორექტირდეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:40
დასრულების დრო: 15:00

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 ნოემბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 28 ნოემბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს სხდომა დატოვა ლევან შავაძემ

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული ინჟინერია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში. მონიტორინგის პროცესში არ გამოკვეთილა დამატებითი რეკომენდაციები. მისი თქმით პროგრამაზე წინა აკრედიტაციის დროს წარმოიშვა ლაბორატორიის გაფართოების საკითხი, რომელიც ამჟამინდელი მდგომარეობით არის სრულყოფილი და მოემსახურება კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამას სრულფასოვნად. გაცემული არის მხოლოდ რჩევები, რომელიც მიმართულია პროგრამის განვითარებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულებამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:30

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დატოვა ნარგული ასანიძემ

მესამე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი;
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა - 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით მონიტორინგის ფარგლებში გაიცა ერთი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებული ლიტერატურის განახლება“ და რამდენიმე რჩევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს დასკვნის პროექტის ეტაპზე გაცმული ჰქონდათ ორი რეკომენდაცია, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ დასკვნაში დარჩა მხოლოდ 1 რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ ლიტერატურის განახლება არის მუდმივი პროცესი და დაწესებულებაც დაინტერესებულია, რომ სასწავლო კურსებში მუდმივად განაახლოს ლიტერატურა. ასევე, მისი თქმით, ბოლო პერიოდში სასწავლო კურსებში მოხდა გარკვეული ლიტერატურის დამატებაც, უნივერსიტეტმა შეიძინა 20 - მდე საერთაშორისო თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:50
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეოთხე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ტურიზმი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა - 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა დევიძემ აღნიშნა, რომ შპს ალტეს უნივერსიტეტში არაგეგმიური მონიტორინგი ითვალისწინებდა „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, საიდანაც როგორც, „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან" შეფასდა სტანდარტის შემდეგი კომპონენტები: 1.1, 1.2, 1.3, 2.1, 2.2, 2.4, 4.1, 4.3, 5.1, 5.2, 5.3. ხოლო პირველი სტანდარტის 1.4 და 1.5 კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან" და შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:
1. პროგრამის კურიკულუმს, ენების კომპონენტში დაემატოს მეორე უცხო ენა (არჩევითი: რუსული/გერმანული/ფრანგული/იტალიური/თურქული და/ან ა.შ.);
2. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრულობა (მაგ. სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდები 24 ისწავლება მე-3 სემესტრში, ხოლო მისი ლოგიკური წინაპირობა სასწავლო კურსი ,,ტურიზმის სტატისტიკა" მე-4 სემესტრში);
3. რეკომენდებულია ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება/დამატება (მაგ. ,,მენეჯმენტის საფუძვლები", ,,პროექტების მენეჯმენტი", ,,მიკროეკონომიკა" და ა.შ.);
4. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში განისაზღვროს წინაპირობები (მაგ. სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები" წინაპირობად ასევე უნდა იყოს სასწავლო კურსი ,,ტურიზმის სტატისტიკა"; სასწავლო კურსის ,,ღონისძიებების მენეჯმენტი" წინაპირობად უნდა იყოს ,,მენეჯმენტის საფუძვლები"; სასწავლო კურსის ,,კლიენტების მომსახურება და კრიზისის მართვა ტურიზმში" წინაპირობად უნდა იყოს ,,ტურიზმის მენეჯმენტი");
5. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსობრივი გადახედვა/დახვეწა (მაგ. სასწავლო კურსში ,,მენეჯმენტის საფუძვლები" დასამატებელია ადამიანური რესურსების მართვის საკითხები);

6. რეკომენდებულია შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის სპეციფიკასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამამ გარკვეული ცვლილებები ეტაპობრივად გაიარა და დასკვნაში ასახული რეკომენდაციები დაწესებულებისთვის მისაღებია. უფრო მეტიც, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა. ერთადერთი შესასრულებელი პირობა, რაც დაწესებულების მხრიდან იყო დარჩენილი არის ჯამური 21 ქულის მოწესრიგება, რომელიც უკავშირდებოდა საგანმანათლებლო პროგრამების რიგ სილაბუსებში ტექნიკურ ხარვეზებს და ეს ხარვეზიც აღმოფხვრილია. მაშასადამე, ყველა რეკომენდაცია, რომელიც იყო გაცემული, არის გათვალისწინებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:10
დასრულების დრო: 16:20
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] - ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს ალტე უნივერსიტეტის „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეხუთე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საექთნო საქმე;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საექთნო საქმის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: საექთნო და სამეანო საქმე 0913;
სწავლებისენა: ინგლისური;
კრედიტებისრაოდენობა - 240;
სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტი. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სხდომას ესწრებოდნენ მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლები, ხოლო ექსპერტი ვერ ახერხებდა საბჭოს დასწრებას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან დასკვნა არის დადებითი, შესაძლებელია, რომ საკითხი განხილულ იქნას ექსპერტის მონაწილეობის გარეშეც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ დასკვნასთან დაკავშირებით რაიმე მოსაზრების დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ყველა რეკომენდაცია შეასრულეს რაც ნამდვილად განავითარებს პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:40
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიაპროდუქცია და ვიზუალური მეთოდები დიზაინში;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მედიახელოვნების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება;
სწავლებისენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა - 240;

სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტი.

ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ელენე ასათიანმა აღნიშნა, რომ პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს გაცემული იყო 2 რეკომენდაცია:
1. რეკომენდებულია განვითარდეს სტუდიოს ოთახები, მათი წყობა და აღჭურვილობის სიები, რათა მიაღწიოთ ტექნიკური ბაზის ფაქტობრივ და ამჟამინდელ სისრულეს, რომელიც შეესაბამება რეალური პრაქტიკის სტანდარტებს დასაქმების რეალობაში, რაც აუცილებელია პედაგოგებისთვის, რათა მიიღონ წვდომა და დაიწყონ დაუფლება, ხოლო სტუდენტებისთვის, რათა ეფექტურად დაიწყონ სწავლა";
2. რეკომენდებულია შემუშავდეს შესაძენი აღჭურვილობის ნუსხა, რომელიც საკმარისი იქნება კურსის მომავალი კოჰორტებისთვის და აღიჭურვოს და უზრუნველყოფილ იქნას ამჟამად არსებული სტუდიის სივრცის ფუნქციონირება".
ექსპერტის თქმით დაწესებულებამ ორივე რეკომენდაცია შეასრულა, ხოლო რჩევების გათვალისწინებასთან დაკავშირებით ანგარიშში ინფორმაცია არ იყო მოცემული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რჩევები რეკომენდაციების თანმდევი პროცესი იყო და ყველაფერი გათვალისწინებულია, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია დაწესებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 17:00
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მედიაპროდუქციისა და ვიზუალური მეთოდები დიზაინში" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:00 სთ - ზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან